პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 6 ივლისი 1978 წ. № 158 (17202) ფასი 2 კაპ.

5 ივლისს მოსკოვში ახალი პოლიტიკური და შრომითი ალმავლობის ვიმარჯვებაში გაიხსნა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის პროექტის თაობაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ნ. კოსიგინმა.**

მოსკოვი. სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის პრეზიდიუმში.

საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

კოსმონავტები კლიმუკი და გერმაშევსკი დედამიწაზე დაბრუნდნენ

საკდესის ცნობა

1978 წლის 5 ივლისს „სალუტ-6" — „სოიუზ-29", „სოიუზ-30" ორბიტულ სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში დაგეგმილი კვლევისა და ექსპერიმენტების წარმატებით შესრულების შემდეგ საერთაშორისო კოსმოსური ორგანიზაციის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის პეტრე ივანეს ძე კლიმუკისა და მკვლევარი კოსმონავტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქის მიროსლავ გერმაშევსკის შემადგენლობით დედამიწაზე დაბრუნდა. „სალუტ-6" ორბიტულ სადგურში მუშაობას განაგრძობენ კოსმონავტები ვ. ვ. კოვალიონოკი და ა. ს. ივანჩენკოვი.

„სოიუზ-30" ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში ქალაქ ცელინოგრადის დასავლეთით 300 კილომეტრზე. დედამიწაზე დაბრუნებული კოსმონავტები კლიმუკი და გერმაშევსკი თავს კარგად გრძნობენ.

კოსმონავტებმა მთლიანად შეასრულეს „სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „სოიუზ-30" ორბიტულ კომპლექსში სამუშაოთა დაგეგმილი პროგრამა და მოამზადეს „სოიუზ-30" ხომალდი დედამიწაზე დასაბრუნებლად. დასაშვებ აპარატში გადაიტანეს მასალები, რომლებიც მეცნიერული კვლევისა და ექსპერიმენტების შედეგებს შეიცავს.

მოსკოვის დროით 13 საათსა და 15 წუთზე ხომალდი და სადგური განპირაპირდნენ, შემდეგ ჩაირთო ხომალდის სამუხრუჭო ძრავის დანადგარი. ძრავის მუშაობის დამთავრების შემდეგ „სოიუზ-30" კოსმოსური ხომალდის ნაკეთურები განცალკევდნენ და აპარატი დაშვების ტრაექტორიაზე გადავიდა.

გათვალისწინებულ სიმაღლეზე ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა, უშუალოდ დედამიწასთან ჩაირთო რბილი დაჯდომის ძრავები, რის შემდეგაც დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა.

„სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „სოიუზ-30" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით შვიდი დღის ფრენის დროს ამხანაგები კოვალიონოკი, ივანჩენკოვი, კლიმუკი და გერმაშევსკი აწყობდნენ დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა რაიონის ვიზუალურ დაკვირვებასა და ფოტოგრაფირებას ბუნებრივი რესურსების შესწავლის მიზნით, შეასრულეს მთელი რიგი ტექნოლოგიური და სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა მოამზადეს. კერძოდ, კოსმოსური ფრენის პირობებში მიღებულია ახალი მასალები, სწავლობდნენ ნახევარგამტარი კრისტალების წარმოქმნასა და ზრდაზე უწონობის გავლენას. მნიშვნელოვანი მოკიკლობის კვლევი ეხებოდა იმ პრობლემას, თუ როგორ შექმნან ოპტიმალური პირობები ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის დროს ეკიპაჟების ცხოველქმედების უზრუნველსაყოფად.

წარმატებით დამთავრებული მორიგი საერთაშორისო კოსმოსური ექსპერიმენტი ახალი ნაბიჯია სოციალისტური ქვეყნების ძმურ თანამშრომლობაში, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპზეა დაფუძნებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

კოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქის, მკვლევარი კოსმონავტის მიროსლავ გერმაშევსკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

„სალუტ-6" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის"** медали პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეს, მკვლევარ კოსმონავტს მიროსლავ **გერმაშევსკის.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 5 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. პ. ი. კლიმუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-6" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის დაჯილდოვდეს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. პეტრე ილიას ძე **კლიმუკი ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 5 ივლისი.

კოსმონავტებს მიეგებოთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ „სალუტ-6" — „სოიუზ" სამეცნიერო-საკვლევი ორბიტული კომპლექსით პირველი პოლონურ-საბჭოთა კოსმოსური ფრენის დროს დიდი დამსახურების, ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის, აგრეთვე დავალების სანიმუშო შესრულებისათვის პირველი ხარისხის „გრიუნვალდის ჯვრის" ორდენით დაჯილდოვა სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი პეტრე კლიმუკი.

• • •

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ „სალუტ-6" — „სოიუზ" სამეცნიერო-საკვლევი ორბიტული კომპლექსით პირველი პოლონურ-საბჭოთა კოსმოსური ფრენის დროს დიდი დამსახურების, ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის, აგრეთვე დავალების სანიმუშო შესრულებისათვის პირველი ხარისხის „გრიუნვალდის ჯვრის" ორდენით დაჯილდოვა მკვლევარი კოსმონავტი მაიორი მიროსლავ გერმაშევსკი. (საკდესი).

საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია

დღეს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, აღსანიშნავი და მნიშვნელოვანი ამბებით. საბჭოთა ხალხმა ფართოდ და ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი. ამ დიდი დღესასწაულის წინ ძალაში შევიდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — ძირითადი კანონი, რომელიც დამაჯერებლად ცხადყოფს ლენინური იდეების გამარჯვებას, კომუნისტური პარტიის ფუძემდებლის ანდერძის განხორციელებას.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყრილობაზე მიღებულ გრანდიოზულ აღმშენებლობის პროგრამას, ზრდიან მშობლიური სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებას. განვლილია მეათე ხუთწლედისათვის დასახული გზის ნახევარი. კომუნისტური მშენებლობის მიღწეული ტემპი და მასშტაბები გვინერგავს იმის იმედს, რომ შესრულდება სოციალისტური სამშობლოს შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები.

კომუნისტური პარტია, რომელიც განუხრელად ზრუნავს საზოგადოების საწარმოო ძალთა ზრდისათვის, დიდ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამას ცხადყოფს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 3-4 ივლისს გამართული პლენუმიც. პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მოხსენებასა და პლენუმის დადგენილებაში მოცემულია იმ სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლის მკაფიო, კონკრეტული და მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ურსსათითი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის ხაიმედო უზრუნველყოფას. ხალხის კეთილდღეობის აუმჯობესებას. საბჭოთა ადამიანები აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ინიციატივა და მეცადინეობა მოახმარონ პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებას.

5 ივლისს მოსკოვში ახალი პოლიტიკური და შრომითი ალმავლობის ვიმარჯვებაში გაიხსნა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია.

დღის 10 საათზე დაიწყო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომები. შეკრებილებმა პატივი მიაგეს იმ დეპუტატთა ხსოვნას, რომლებიც სესიებს შორის პერიოდში გარდაიცვალნენ.

პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე მოისმინეს სამანდატო კომისიების მოხსენებები სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების შემოწმების შესახებ. მოხსენებები გააკეთეს კომისიათა თავმჯდომარეებმა: კავშირის საბჭოში — დეპუტატმა ხ. შ. ბეკტურგანოვმა, ეროვნებათა საბჭოში დეპუტატმა — ე. ა. შევარდნაძემ. მოხსენებათა გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

პალატების სხდომებზე ერთხმად დამტკიცეს სესიის დღის წესრიგი:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და დენონსაციის წესის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის ძირითადი დებულებანი.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დამტკიცდა აგრეთვე სესიის მუშაობის წესი.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა დაიწყო დღის 11 საათზე კრემლის დიდ სასახლეში.

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე ამდგარნი, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, ვ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს, კ. ვ. რუსაკოვს.**

პალატების გაერთიანებული სხდომა გახსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ვ. პ. რუბენმა.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის პროექტის გამო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ნ. კოსიგინმა.**

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონ-

(გაგრძელება მე-3 გვ.).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — სსრ კავშირის მთავრობა — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ლენინური იდეებისა და პრინციპების საფუძველზე განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს როლსა და ამოცანებს სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ფუნქციათა განხორციელებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფოს მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობაშია, რამდენადაც ეს საკითხები, სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში არ შედის.

თავის საქმიანობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და სსრ კავშირის კანონებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს და ამოწმებს მათ შესრულებას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, ყველა ორგანოსათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

მუხლი 2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებისა და სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი ამოცანების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეწევა საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ახორციელებს ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას სოციალიზმის ეკონომიკური კანონებისა და უპირატესობების ყოველი ღონისძიებით გამოყენების საფუძველზე;

უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ამაღლებს წარმოების ეფექტიანობასა და მუშაობის ხარისხს საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით;

აუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობისა და ამაღლებს კულტურას, იცავს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ხელშემწყობ პირობებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის;

კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით, უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესების შეხამებას;

უზრუნველყოფს ბუნებრივი სიმდიდრეთა რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის;

სრულყოფს სახელმწიფო მართვას;

იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, იცავს და აშრავლებს სოციალისტურ საკუთრებას, კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას;

უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას, საბჭოთა ხალხის სოციალისტური მონაპოვრებისა და მშვიდობიანი შრომის დაცვის მიზნით;

ახორციელებს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, უზრუნველყოფს სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული საგარეო პოლიტიკის პრინციპების განუხრელ გატარებას.

მუხლი 3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დემოკრატიული ცენტრალიზმის, სოციალისტური ფედერალიზმის, სოციალისტური კანონიერების, საჯაროობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით:

უზრუნველყოფს, რომ ერთმანეთთან შეხამებული იყოს სახელმწიფო მმართველობის საკითხთა ცენტრალიზებული გადაწყვეტა და რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის განვითარება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ საკითხების კოლეგიური განხილვა და გადაწყვეტა და მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მუშაობის მინდობილ უბნებზე საქმის ვითარებისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობა;

ორგანიზაციას უწევს შესაბამისი საკითხების გადაწყვეტის დროს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების წინადადებათა გამოვლენასა და გამოყენებას, აწვდის ცნობებს მოსახლეობას თავის მუშაობასა და მიღებულ ძირითად გადაწყვეტილებათა შესახებ;

უზრუნველყოფს სსრ კავშირის კონსტიტუციის, სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა განუხრელ დაცვას.

საკითხთა განხილვაში, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო წყვეტს, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საერთო-საკავშირო ორგანოები მათი საწესდებო ამოცანების შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მეცნიერების მიღწევებს იყენებს სახელმწიფო მმართველობის საკითხების გადაწყვეტის დროს.

მუხლი 4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის წესი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შეუძლია სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანოს სსრ კავშირის სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებებს ახდენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირებს თანამდებობიდან ათავისუფლებს და ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდეგში დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მის მორიგ სესიაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავის უფლებამოსილებას იხსნის სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიაზე.

მუხლი 5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

ახლად შექმნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარადგენს განცხადებას თავისი მომავალი საქმიანობის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რეგულარულად ანგარიშობს თავისი მუშაობის ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წევრი, რომელსაც შეკითხვით მიმართავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოვალენი არიან ორი უგვიანეს სამი დღის ვადისა სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი გასცენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოცემულ სესიაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და მისი პალატების კომისიების რეკომენდაციებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებებს და დადგენილ ვადაში აცნობებს მათ განხილვის შედეგების ან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ვიზიტი დამთავრდა

სიმფეროპოლი, 5 ივლისი (საკდესი). დღეს აქედან გაემგზავრა მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი დ. რაციერაკა. იგი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის პატიჟნოვი, მოსკოვის გარდა, მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და მისი თანმხლები სახელმწიფო მოღვაწეები ეწვევიან სომხეთსა და ყირიმს. საბჭოთა კავშირ-მადაგასკარის მეგობრობა-კეთილმეზობლობის ურთიერთობანი ჩამოყალიბებულია ერთობლივ კომუნიკეში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის **კანონი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეტყობინება

ბიბლიოთეკა

II. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია

მუხლი 6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის ზოგადი საკითხები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციით, ამ კანონითა და სსრ კავშირის სხვა კანონებით გათვალისწინებული თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროების ხელმძღვანელობას; ახორციელებს საკავშირო დაქვემდებარების დარგების ხელმძღვანელობას და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საერთო ხელმძღვანელობას;

ორგანიზაციას უწევს სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და გაერთიანებების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, ბანკების, სამეცნიერო დაწესებულებების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მართვას; განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოების, გაერთიანებების, სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს;

განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ამოცანებსა და ფუნქციებს. მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს; ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემის, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბიუროების შემთხვევაში შეუძლია მის კომპეტენციაში შემავალი სახელმწიფო მმართველობის ცალკეული საკითხების გადაწყვეტა გადასცეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, თავის სხვა საქვეუწყებო ორგანოებს.

მუხლი 7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკის განვითარების დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) უზრუნველყოფს ეკონომიკის როგორც ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის განვითარების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შესაბამისად, საწარმოთა, გაერთიანებათა და სხვა ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან ცენტრალიზებული მართვის შეხამების პირობებში;

2) ახორციელებს ღონისძიებებს საზოგადოებრივი წარმოების გაწყობარების ოპტიმალური ტემპის, ეროვნული შემოსავლის ზრდისა და მისი რაციონალური განაწილების უზრუნველსაყოფად; ორგანიზაციას უწევს საშრომო სახელმწიფო რეზერვების შექმნას;

3) შეიმუშავებს წინადადებებს სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ, ორგანიზაციას უწევს მის ერთგვაროვანი დარგების ჯგუფების მართვას, კოორდინაციას უწევს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას, ახორციელებს ღონისძიებებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

4) უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, დარგთშორისი და ტერიტორიული პრობლემების გადაჭრას;

5) უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის, მოგების, თვითღირებულებისა და სხვა ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების აქტიურ გამოყენებას; ახორციელებს ღონისძიებებს სოციალისტური წარმოების შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისათვის.

6) წყვეტს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწისა და წიაღისეულის, წყლის რესურსების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვასა და მეცნიერულად დასაბუთებულ, რაციონალურ გამოყენებასთან, ჰაერისა და წყლის სისუფთავის დაცვასთან, ბუნებრივ სამდიდრეთა განახლების უზრუნველყოფასა და ადამიანის გარემომცველი ბუნების გაუმჯობესებასთან.

მუხლი 8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალური განვითარებისა და კულტურის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რათა შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე ამაღლდეს შრომის ანაზღაურების დონე, მშრომელთა რეალური შემოსავალი, გაიზარდოს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები;

2) განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემისა და ჭისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებებს, ახორციელებს ღონისძიებებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისა და გაკაჟებისათვის, ხელს უწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას;

3) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის გასატარებლად და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად აწესებს სახელმწიფო სოციალური დაზღვეევის ნაზით დახმარების გაცემის ძირითად პირობებსა და ოდენობას;

4) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარებისა და დაცვისათვის, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობისათვის;

5) განსაზღვრავს სახალხო განათლების ერთიანი სისტემის განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებებს; უზრუნველყოფს სრულიერ ღირებულებათა დაცვას, გამოავლენასა და ფაერთო გამოყენებას საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის; ხელს უწყობს პროფესიონალი ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას;

6) წარმართავს კაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო სისტემების საქმიანობას; ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში.

მუხლი 9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეიტანს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმები, ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად, წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გეგმების შესრულების ანგარიშს.

2) ორგანიზაციას უწევს მუშაობას, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა — დაეგეგმის დარგში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურმა ორგანომ, — სსრ კავშირის საბინისტროებმა და სახელმწიფო კომიტეტებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოამზადონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტები; უზრუნველყოფს გეგმების შეუნისწორებას და სტაბილურობას, მოკავშირე რესპუბლიკებსა და ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებში საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებას, დაგეგმვის მეთოდების სრულყოფას;

3) ორგანიზაციას უწევს ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავებას და უზრუნველყოფს ამ პროგრამების შესრულებას;

4) ხელმძღვანელობს აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის ორგანიზაციას.

მუხლი 10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს;

2) შეიმუშავებს და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეიტანს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, იღებს მისი განხორციელების ღონისძიებებს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

3) ახორციელებს ფულადი და საკრედიტო სისტემის და სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციის განმტკიცების ღონისძიებებს;

4) ახორციელებს ხელმძღვანელობას სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე უცხოთის სახელმწიფოებთან სსრ კავშირის საგალუტო და საკრედიტო ურთიერთობის დარგში;

5) უზრუნველყოფს ფასების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, განსაზღვრავს ფასების სისტემის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი შრომისა და ხელფასის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს და ახორციელებს მოქალაქეთა შრომის უფლების უზრუნველყოფის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში ერთიანი პოლიტიკის გატარების ღონისძიებებს;

2) შეიმუშავებს სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებების ფართოდ დანერგვის უზრუნველყოფის, შრომის პირობებისა და დაცვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს;

3) ახორციელებს ხელფასის სახელმწიფო რეგულირებას, შეიმუშავებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში მისი მასტიმულირებელი როლის გაძლიერების ღონისძიებებს; უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ხელფასის ზრდის ტემპის საჭირო თანაფარდობას, მატერიალური და მორალური სტიმულების შეხამებას;

4) საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ახორციელებს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისა და მისი ქმედითობის ამაღლების ღონისძიებებს;

5) საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით წყვეტს მუშაობისამსახურთა სამუშაო დროისა და დასვენების დროის რეგულირების ცალკეულ საკითხებს;

6) საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადრეული ამტკიცების მოსახდენი ფასების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციას.

მუხლი 12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს და ახორციელებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ერთიანი პოლიტიკის გატარების ღონისძიებებს, ორგანიზაციას უწევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზების შემუშავებას;

2) იხილავს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, განსაზღვრავს უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების დაფინანსების სამუშაოთა პროგრამებს;

3) შეიმუშავებს მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერული კვლევის შედეგების, გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებათა დანერგვის ღონისძიებებს;

4) წარმართავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობას.

მუხლი 13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის ღონისძიებებს;

2) წარმართავს სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას;

3) უზრუნველყოფს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებმა და სახელმწიფო კომიტეტებმა, მისმა სხვა საქვეუწყებო ორგანოებმა დაიცვან კანონმდებლობა; განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, გაერთიანებებში, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამართლებრივი მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

4) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებებს.

მუხლი 14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების, მისი სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

2) საერთო ხელმძღვანელობას უწევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მშენებლობას, განსაზღვრავს ნამდვილ ხანმეტრო სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა ყოველწლიურ კონტინგენტებს;

3) ახორციელებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის ღონისძიებებს, რაც ნებისმიერი აგრესორის დაუყოვნებლივ მოგერიების გარანტიას იძლევა;

4) უზრუნველყოფს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების აღჭურვას ყოველივე იმით, რაც აუცილებელია, რომ მათ მოიხადონ თავიანთი ვალი ხალხის წინაშე — სიმამაცით დაიცვან სოციალისტური სამშობლო;

5) საერთო ხელმძღვანელობას უწევს სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვას.

მუხლი 15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სსრ კავშირის ურთიერთობის დარგში, სახელმწიფო მონობოლიის საფუძველზე საგარეო ვაჭრობისა და სხვა სახეობათა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დარგში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის დარგში; უზრუნველყოფს სსრ კავშირის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას, საგარეო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას;

2) ორგანიზაციას უწევს და წარმართავს საქმიანობას, რომელიც უკავშირდება სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციასა და შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში სსრ კავშირის მონაწილეობას; ახორციელებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფო გეგმებთან სსრ კავშირის სახელმწიფო გეგმების კოორდინაციის უზრუნველყოფის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ღონისძიებებს;

3) თავის უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს სსრ კავშირის წარმომადგენლობას უცხოეთის სახელმწიფოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

4) ახორციელებს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს; წყვეტს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს რეკომენდაციათა მიღების საკითხებს და უზრუნველყოფს მიღებულ რეკომენდაციათა განხორციელებას;

5) ამტკიცებს და გაუქმებულად აცხადებს სსრ კავშირის სამთავრობათშორისო საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

მუხლი 16. საკითხები, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა სახალხო მეურნეობის განვითარება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა, უცხოეთის სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარება, იხილება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგები, სსრ კავშირის კანონების პროექტები, აგრეთვე იხილება და წყდება სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები.

მუხლი 17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი. საკითხები, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე წყდება

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები.

მუხლი 18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომებზე საკითხებზე მოსამზადებელ სამუშაოთა ორგანიზაცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომებზე საკითხებზე მოსამზადებელ სამუშაოთა ორგანიზაციას ახორციელებენ სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, ბანკები, ინდივიდუალურ-ტექნიკური ბიუროები, ინჟინერიული ცენტრები, ინჟინერიული ბიურო, ინჟინერიული ბიუროები, ინჟინერიული ბიურო, ინჟინერიული ბიუროები, ინჟინერიული ბიურო, ინჟინერიული ბიურო

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ

(დასასრული)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები მოვალეობათა განაწილების შესაბამისად კოორდინაციას უწევენ სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების საქმიანობას, აკონტროლებენ ამ ორგანოების საქმიანობას და ოპერატიულად აძლევენ მითითებებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას უზრუნველსაყოფად და მათი საქმიანობის სხვა საკითხებზე; წინასწარ იხილავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეტანილ წინადადებებსა და დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს თავმჯდომარის ერთ-ერთი პირველი მოადგილე.

მუხლი 30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა სამუშაო ორგანოები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს აქვს მუდმივი კომისიები. ამ კომისიათა ამოცანებს, ფუნქციებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სახალხო მეურნეობის დარგებს ან მმართველობის სფეროების განვითარებასთან დაკავშირებულ წინადადებათა მოსამზადებლად, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტების შესამუშავებლად და გადაწყვეტილებათა პროექტების გამო უთანხმოებათა გასახილველად, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ პრეზიდიუმის ცალეულ დავალებათა შესასრულებლად შეიქმნება შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დროებითი კომისიები და სხვა სამუშაო ორგანოები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებათა შეტანისა და განხილვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 31. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ნორმატიული ხასიათი ან დიდი სახალხო-სამეურნეო და ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, გამოიცემა დადგენილებათა ფორმით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ქვეყნდება სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა კრებულში, ხოლო თუ აუცილებელია მათი ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნება, მათს საყოველთაო გაშუქებას უზრუნველყოფენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

გადაწყვეტილებანი ოპერატიულ და სხვა მიმდინარე საკითხებზე გამოიცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებათა ფორმით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს ხელს აწერენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებებს ხელს აწერენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები.

მუხლი 32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატი.

სსრ კავშირის მთავრობის აპარატს, რომელიც ამზადებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში განსახილველ საკითხებს და უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შეასრულების სისტემატურ შემოწმებას, წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, რომელიც განაყოფიერებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფებისაგან შედგება.

სსრ კავშირის მთავრობის აპარატს სათავეში უდგას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელიც დადგენილი წესით შედის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

დებულებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ და მის სტრუქტურას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 5 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თაობაზე სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს.

1. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თაობაზე სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ეწოდოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებს სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები.

2. გარდაიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკა“ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო — ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარი სამმართველო — სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტად.

3. ეწოდოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს — სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

4. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ამიერიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ სსრ კავშირის მთავრობის ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბებამდე შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის კანონს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 12 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ (სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მაცნე, 1923 წელი, № 10, მუხ. 298), შემდგომი ცვლილებებითურთ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1924 წელი, № 19 მუხ. 184; სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1930 წელი, № 48. მუხ. 502, 1932 წელი, № 24 მუხ 149).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 5 ივლისი.

საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი

(გაგრძელება).

მდებლო განზრახულობათა კომისიების თანამოსახლენება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამ სსრ კავშირის კანონის პროექტის გამო გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ჯ. კებინმა. ის ფაქტი, თქვა მან, რომ დღეს ვიხილავთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის პროექტს, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კომუნისტური პარტია, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ზრუნავენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის შემდგომი განმტკიცებისათვის, კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუცია თანამიმდევრულად ხორციელდება.

დიდი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ნიმუშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან დამთავრებული პლენუმი, რომელმაც განსაზღვრა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც შეიმუშავა პოლიტბიურომ და პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

კანონის პროექტი, აღნიშნა შემდეგ ორატორმა, ითვალისწინებს, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს შეადგენს, მთავრობის საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გეგმების შეწონასწორებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი საერთო-სახელმწიფოებრივი, დარგთშორისი და ტერიტორიული პრობლემების გადაჭრისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფას, სახალხო მეურნეობის ერთგვაროვანი დარგების ჯგუფების ძირითადი სისტემების შექმნას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითებებს, რომ გეგმა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი იარაღია, რომ ყველა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანომ ძირითადი მეცადინეობა უნდა მოახმაროს საგეგმო დავალებების უთუო შესრულების უზრუნველყოფას.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების აზრით, კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ ქმნის მთავრობის საქმიანობის საჭირო სამართლებრივ საფუძველს. იგი ხელს შეუწყობს ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

კომისიებს, რომლებიც მთლიანად იწონებენ კანონის პროექტს, მიზანშეწონილად მიიჩნიეთ დაუმატონ მას ზოგიერთი ახალი დებულება, რომელთა მიზანია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილების სახელმწიფო მმართველობის საკითხთა გადაწყვეტისათვის მისი საქმიანობის ორგანიზაციული ფორმების დაზუსტება.

კერძოდ, შემოგვაქვს წინადადება კანონის პროექტის მე-3 მუხლში შევიტანოთ დებულება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ გადასაწყვეტ საკითხთა განხილვაში სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საერთო-საკავშირო ორგანოები მათი საწესდებო ამოცანების შესაბამისად.

შემოტანილია აგრეთვე წინადადება, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო წყვეტს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვასთან და მეცნიერულად დასაბუთებულ რაციონალურ გამოყენებასთან, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნებასთან, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლების უზრუნველყოფასთან და ადამიანის გარემომცველი ბუნების გაუჯობესებასთან.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიები, თქვა დასასრულ ორატორმა, რეკომენდაციას იძლევიან დამტკიცდეს კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ შემოტანილ შესწორებებთან ერთად.

კამათი გახსნა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა **ვ. ი. ვორონინო

ხორცი შევასხათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის კლენუმის გადაწყვეტილებებს

კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები უდიდესი ინტერესით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ". ქვეყნის მშრომელებმა ეს მოხსენება და 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი აღიქვეს, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური აგრარული პოლიტიკის განსაზორციელებლად მოქმედების საბრძოლო პროგრამა, ხალხის კეთილდღეობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის პარტიის ზრუნვის ახალი გამოვლინება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დოკუმენტების პროპაგანდასა და ახსნა-განმარტებაში დასახული ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა მობილიზაციაში მონაწილეობს ხელმძღვანელ მუშაკთა, პროპაგანდისტთა, მომხსენებელთა, პოლიტინფორმატორთა, აგიტატორთა დიდი რაზმი. ქვემოთ ქვეყნდება ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა.

ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმი კომუნიზმისათვის ბრძოლის ისტორიული მიჯნაა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე დიდი წვლილია ლენინური აგრარული პოლიტიკის შემოქმედებითის განვითარებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის მეცნიერულობა და ღრმა რეალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის დარგში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებები.

ქვეყნის საიმედო უზრუნველყოფა სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით პარტიისა და სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანაა.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ქვაკუთხედია.

გონივრულად და ეფექტიანად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, კულტურის ამაღლება და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

საბოლოო საწარმოო შედეგები სოციალისტური ეკონომიკის საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა დარგს — კომპლექსური დინამიკური განვითარება.

სოციალიზმის დროს ქალაქისა და სოფლის მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაახლოების გზების შესახებ.

სოფლის მეურნეობას — თანამედროვე დიდმწარმოებლური ტექნიკა.

განუხრელად ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხარისხი. უზრუნველვყოთ საკვებწარმოების სრული მექანიზაცია.

გადაჭრით გავუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება.

ფართო გზა — იპატოვიელთა მეთოდს!

განუხრელად ვზარდოთ მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება.

ყოველნაირად განვავითაროთ და ეფექტიანად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო ავიაცია.

მიწების მელიორაცია სოფლის მეურნეობის მომავალია.

ეფექტიანად გამოვიყენოთ მელიორირებული მიწები.

ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის მეცნიერების ეფექტიანობა, განვამტკიცოთ მისი კავშირი წარმოებასთან, ყოველი ღონისძიებით დავნერგოთ მისი მიღწევები.

სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმე, საერთო საზრუნავია.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია.

გადავაქციოთ მეცხოველეობა მაღალეფექტიან დარგად. უზრუნველყოთ მისი ინტენსიფიკაცია და სამრეწველო საფუძველზე გადაყვანა.

ხორცის წარმოების გადიდება უპირველესი ამოცანაა.

მშრომელთა პირადი დამხმარე მეურნეობები სახურსათო რესურსების შევსების დიდმნიშვნელოვანი წყაროა.

გავზარდოთ თევზის წარმოება ადგილობრივ წყალსატევებში.

საკვები ბაზა მეცხოველეობის აღმავლობის საფუძველია.

მარცვლეულის წარმოების ყოველმხრივი ზრდა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძველია.

არაშავმიწანიადაგიანი ზონა მეორე ყამირია.

განუხრელად ვზარდოთ ბამბის წარმოება. ავამაღლოთ მისი ხარისხი.

გავზარდოთ შაქრის ჭარხლის მოხავლიანობა, გავაუმჯობესოთ ჭარხლის შაქრის წარმოება.

გავზარდოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება.

უკეთ გამოვიყენოთ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, შევამციროთ მისი დანაკარგები.

ცომბირისა და შორეულ აღმოსავლეთს — ხაიმედო სასოფლო-სამეურნეო ბაზა.

ვადამდე შევასრულოთ მეათე ხუთწლედის გეგმები.

სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის გზები.

სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია ცხოვრების მოთხოვნაა.

უზრუნველვყოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის შემდგომი განვითარება.

საოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისათვის ბრძოლა თითოეული მშრომელის პატრიოტული მოვალეობაა.

გავაჩაღოთ მტკიცე ბრძოლა მომჭირნეობისა და უყირათიანობისათვის.

შეურიგებლად ვებრძოლოთ უყირათობასა და მფლანგველობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის საბაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ" კოოპერაციის დიადი ლენინური გეგმის იდეების ხორცშესხმა და შემდგომი განვითარებაა.

სასოფლო მშენებლობას — დამკვრელური ტემპი და საუკეთესო ხარისხი.

სასოფლო მშენებლობა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია.

პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვა სოფლად ხალინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საგზაო მშენებლობას — ყოველდღიური ყურადღება.

უზრუნველვყოთ კადრების შენარჩუნება სოფლად.

ავამაღლოთ სოფლისადმი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საშეფო დახმარების ეფექტიანობა.

ყოველნაირად გავაუმჯობესოთ სოფლად ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სტილი და მეთოდები.

სოფლის კომუნისტთა 6-მილიონიანი არმია მძლავრი ძალაა.

კომუნისტები — საწარმოო და აღმზრდელობითი მუშაობის მებრძოლი ორგანიზატორები.

დისციპლინის განმტკიცება, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მექანიზატორი სოფლად ცენტრალური ფიგურაა.

სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა მილიონობით მშრომელის მასობრივი და ყოველდღიური მუშაობის გმირობას მოითხოვს.

სოფლის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას — ახალი გაქანება.

ვაწარმოოთ მეტი და უკეთესი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით — მთავარია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მოსავლის აღება საყოველთაო-სახალხო საქმეა. არც ერთი ხაათი მოცდენა, არც ერთი გრამი დანაკარგი!

ხორცი შევასხათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს!

საერთაშორისო ცხოვრება

საკდესი იტყობინება

ქლავლია ღღეს ● ქლავლია ღღეს ● ქლავლია ღღეს

სოციალისტურ ქვეყნებში

ბულგარეთი

ყველაზე უმცირესი

სწრაფი ტემპით ვითარდება ბულგარეთის ელექტრონიკა. მრეწველობის ამ დარგის პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად 30-50 პროცენტით იზრდება. უკანასკნელ ხუთ წელიწადში მარტო კომპიუტერული ტექნიკის ნაკეთობათა რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

ამას წინათ ბულგარელმა სპეციალისტებმა შექმნეს უნივერსალური მინიკომპიუტერი „ისოტ-0310", რომელიც სახმარად უჩვეულოდ მარტივია. ამ მანქანის გამოყენება შეიძლება როგორც დამოუკიდებელი დავალებებისათვის, ისე ყველაზე უახლესი ტიპის დიდ კომპიუტერებთან შეერთებით.

უნგრეთი

მწვანე სიმდიდრე

უნგრეთში ტყის მასივებს 1,6 მილიონი ჰექტარი ანუ ქვეყნის მთელი ტერიტორიის თითქმის ერთი მეხუთედი უჭირავს. მილიონი ჰექტარი სახალხო რესპუბლიკის წყლები გამენია.

სატყეო მეურნეობის მუშაკები ყველა ღონეს ხმარობენ ტყის ფონდის გეგმაზომიერი აღდგენისა და ხისის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. ტყის დარგვა ქვეყანაში ხორციელდება როგორც ხის სარეწველო გამოყენების, ისე გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

2000 წლამდე შემუშავებული პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს ხის დარგვას ორ მილიონ ჰექტარზე. მერქნის წლიური წარმოება ამ პერიოდში 9 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზრდება.

ამჟამად უნგრეთს სარეწველო საპიროებისათვის ხის 75 პროცენტი უცხოეთიდან შეაქვს, მეტწილად საბჭოთა კავშირიდან.

მონღოლეთი

დარჰანელი ნოვატორები

მონღოლეთის საწარმოებში სულ უფრო ფართოვდება რაციონალიზატორული მოძრაობა. მასში აქტიურად მონაწილეობს დარჰანის სარეწველო კომბლექსის კოლექტივი. კომბლექსი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი მომზე ქვეყნების დახმარებით აიგო. უკანასკნელ ორ წელიწადში ბევრი შრომის მოწინავე და 30 ბრიგადა დაჯილდოებულია დიპლომებით რაციონალიზატორული წინადადებებს დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

მთლიანად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაციონალიზატორულ მოძრაობაში 20 ათასი ადამიანი მონაწილეობს. (აას).

ჩავფუფოთ რეაქციის ხრიკები

ადენი, 4 ივლისი. (საკდესი). იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები ყოველ ღონეს ხმარობენ ჩრდილოეთ იემენთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. მათ გაანაცხადეს, რომ მზად არიან ამ მიზნით გამართონ მოლაპარაკება იემენის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესახებ.

ამავე დროს იმპერიალისტური ძალები და არაბული რეაქცია ყოველნაირად ცდილობენ გაალრმავონ გათიშვა ორ იემენს შორის, პროვოკაციულად გამოიწვიონ შეიარაღებული კონფლიქტი. ისინი აშკარად აძლიერებენ დამაბულობას იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებზე. დასავლეთის სააგენტოები იუწყებიან, რომ სამხრეთ იემენის საზღვრების გასწვრივ მიმდინარეობს ჯარების, საბჭოს არაბეთის მიერ დაქირავებულთა რაზმების, აგრეთვე, როგორც ფრანს-პრესის სააგენტო იუწყება, ირანის საექსპედიციო კორპუსის (ომანში) სამხედრო პერსონალის კონცენტრაცია.

იტალია: არჩევნები გრძელდება

რომი, 4 ივლისი. (საკდესი). იტალიის ახალი პრეზიდენტის არჩევნების რვა ტურს ჯერჯერობით შედეგი არ მოპყოლია. მე-8 ტურში, რომელიც დღეს გაიმართა, ყველაზე მეტი ხმა მოაგროვა იტალიის კომპარტიის კანდიდატმა ჯ. ამენდოლამ. 979 პარჩევისაგან, რომელიც ენენტსყრაში მონაწილეობდნენ, მას ხმა მიეცა 358 კაცმა. მეტ წილ პარტიებს არ დაუსახელებია საკუთარი კანდიდატი. მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს ვალენ არ მიუღია მონაწილეობა ენენტსყრაში, რაც ფაქტიურად აბრკოლებს პრეზიდენტის არჩევნებს, რადგან პარლამენტში ძალთა ახლანდელი განაწილების დროს არც ერთ პარტიას არ ძალუძს გაიყვანოს თავისი კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე, თუ მხარს არ დაუჭერენ სხვა პოლიტიკური ძალები.

სოციალისტებმა შეიტანეს წინადადება სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე კანდიდატად დასახელონ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, დეპუტატთა პალატის ყოფილი თავმჯდომარე ს. პერტინი. ამ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს კომუნისტებმა, აგრეთვე სოციალ-დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა. გაზეთი „უნიტა" დღეს ხაზს უსვამს, რომ შექმნილი სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი ერთობლივად გამონახონ კანდიდატი, რომელიც შეძლებს გახდეს ეროვნული ერთობისა და კონსტიტუციური წესრიგის გარანტი.

ამ სიტუაციაში გაურკვეველი პოზიცია უჭავია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია არ უჭერს მხარს ს. პერტინის კანდიდატურას და ამავე დროს არ ასახელებს საკუთარ კანდიდატს.

ბუშინდელი საოჯახო განმავლობაში პარტიებს შორის გრძელდებოდა ინტენსიური ორმხრივი მოლაპარაკება. ამის შემდეგ კომუნისტებმა მოითხოვეს მოეწყოს საპარლამენტო უმრავლესობის ყველა პარტიის დელეგაციების კოლეგიალური შეხვედრა პრეზიდენტის კანდიდატურის ერთობლივად განხილვისათვის.

ლიბანი: კვლავ დაძაბულობაა

ბეირუთი, 4 ივლისი. (საკდესი). ლიბანის დედაქალაქში კვლავ ხაშიში და აფეთქების მომასწავებელი ვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე მეგობარ ქვეყნებ ქრისტიანულმა შენაერთებმა და არაბული ქვეყნების ძალებმა მიაღწიეს შეთანხმებას კეცლის შეწყვეტის შესახებ, სროლა ყველა სახეობის იარაღის გამოყენებით მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და გვიან საღამომდე. მთელ რიგ ადგილებში აღინიშნა, სნაიპერთა აქტივიზაცია, რომლებიც ესროდნენ ქუჩებში ვამოსულ ადამიანებს.

საარტილერიო ოფელის დროს დაზიანებულია მრავალი შენობა, ორი ყუმბარა გუშინ პრეზიდენტის სასახლის ახლოს აფეთქდა. თითქმის მთლიანად პარალიზებულია ბეირუთის საზღვარგარეთ ნავსადგურის მუშაობა. რამდენიმე ყუმბარი დაზიანებულია ერთი უცხოეთის სატვირთო ვემი.

ავლაბარ დაძაბული ატმოსფერო იყო მთელი წუხანდელი ღამის განმავლობაში.

ავანტიურის წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 4 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული. იმპერიალისტური პოლიტიკა მთავარი დაბრკოლებაა აფრიკის ხალხთა საბოლოო განთავისუფლების გზაზე. ეს ინფორმაცია გააჩინა მყვინთავი პროპაგანდისტული კამპანია აფრიკის საქმეებში ვითომდა „საბჭოთა ჩარევის" გამო და ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს საკუთარ ბოროტ განზრახვებს „შავი კონტინენტის" მიმართ, რომელთა მიზანია პროდასავლური რასისტული რეჟიმების განმტკიცება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ძარის გამოთხრა, იმის უზრუნველყოფა, რომ დასავლეთის მონოპოლიებმა „თავისუფლად" ძარცვონ აფრიკის ბუნებრივი სიმდიდრე.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ხულ უფრო ფართოვდება ნატოს ქვეყნების აშკარა ჩარევა ზაირის საშინაო საქმეებში. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ნატოს ჯარები და მათ კონტროლს დაქვემდებარებული ეგრეთ წოდებული „საფრიკო ძალები" შაბას პროვინციაში აწყობენ მასობრივ ჩხრეკას, ეპატიმრებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. მეამბოხეთა თანამშრომლობაში ეჭვმიტანილები მიჰყავთ კამინის სამხედრო ბაზაში, სადაც ხანგრძლივ დაკითხვას უწყობენ და ამუსრავ იგდებენ. კინშასაში პრეზიდენტმა მობუტუმ გამოაცხადა დამრტყმელი ნაწილების შექმნის შესახებ, რომელთა განლაგებასაც შაბას პროვინციაში აპირებენ.

* * *

ზურათზე: მობუტუელი დამხჯელები.

აპმერა პრეს-საკდმის ფოტო.

ფესტივალი—ტრადიციად!

სიმღერა იბრძვის

პოზაკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე სტუმრებს ხვდებოდა. მორთული, კიდევ უფრო გალამაზებული იყო მისი მოედნები, პროსპექტები, ხიევნები. სრულუფლებიან დიასახლისად მოვიდა აქ სიმღერა: სიმღერა მებრძოლი, სიმღერა — ტრიბუნი. იგი ჩამოიტანეს ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავისა და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალისადმი მიძღვნილი პოლიტიკური და სამხედრო-პატრიოტული სიმღერის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის მონაწილეებმა. ფესტივალზე თავი მოიყარეს საუკეთესო პროფესიულმა და თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივებმა და შემსრულებლებმა საქართველოს ყველა კუთხიდან. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, ომისა და შრომის გმირები.

ფესტივალის შესანიშნავ პრელუდიად იქცა რევოლუციის ბარიკადებზე, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ფრონტებზე დაღუპული კომკავშირელების საულუტურული ძეგლის საძირკვლის ჩაყრა. იგი აღიმართება კომკავშირული ქალაქის ერთერთ წარმტაც მაღლობზე და ბორის ძნელაძისა და მიროსა გალოიანის ძეგლებთან ერთად მუდამ შეახსენებს ახალგაზრდებს მათ სახელოვან წინამორბედი, რომლებმაც თავი დადეს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

ფესტივალის წარმატება დიდად განაპირობა საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომელმაც პროგრამა გახსნა — მთელ საღამოს ტონი მისცა პასმუტოვას „მცირე მიწამ", ბლანტერის „კატუშამ", ტუხმანოვის „გამარჯვების დღემ". — ამ ყვავილსათვის ალობელმა და ძვირფასმა სიმღერებმა, რომელებიც შეასრულეს ანსამბლის სოლისტებმა ანატოლ როქკოვმა, ალინა კოზლოვამ და ალეკსანდრ ბაგლანოვმ.

ესტაფეტა ღირსეულად განაგრძეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა გურამ გოგუამ და ვლადიმერ მოსიძემ. მათ პოლიტიკური სიმღერისათვის დამახასიათებელი მგზნებარებით შეასრულეს მურაღელის „ბუქენვალდის ნაბათი" და ნოვიკოვის „სამშობლო". საბჭოთა ხალხის გმირული რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციებისადმი ახალგაზრდების ერგულების ფიცად გაისმა ფრენკელის, გიგაურის, ტალიკოვის ნაწარმოებები საქართველოს ფილარმონიის სოლისტების მარინე კახიანისა და ეთერ იოსებიძის შესრულებით.

მუსიკისადმი, პოლიტიკური სიმღერისადმი სიყვარულმა დაკავშირა ეს ახალგაზრდები. მუშები ვიაჩესლავ შოუა, კონსტანტინე ბლაჯი და რევაზ ნარმანია, ჰედგეგოი ნათელა ბერძენიანა, მექანიზატორი ვალერი ბიგვავა, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ვლადიმერ ბობუა — ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის „ბრსკილის" წევრები. სულ ერთი წელია რაც ეს კოლექტივი შეიქმნა, მაგრამ უკვე მოასწრო ფართო პოპულარობის მოპოვება. ფესტივალზე ახალგაზრდებმა შეასრულეს ბერძენიას „სიმღერა აფხაზეთზე" და აზარაშვილის „აღსდექ, ძმაო ჩემო".

ამ საღამოს მთელი ხმით გაისმოდა სიმღერები სამშობლოზე, მშვიდობაზე, სიმღერა-პროტესტები ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ. დამსახურებული წარმატება ხვდა წილად თბილისის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „ენგურს". ცხინვალის „ბონვარონს". ლაოსელ სტუდენტს ბუნლან დისანტავისს და, რა თქმა უნდა, ყველაზე ახალგაზრდა კოლექტივს, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ანსამბლ „მზიურს", რომელმაც წარმატებით დაამთავრა ფესტივალის პროგრამა.

— ფესტივალმა ნამდვილად გაგვახარა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ჟიურის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, კომპოზიტორმა რევაზ ლაღიძემ. — მან კიდევ ერთხელ ცხადყო, რაოდენ მდიდარია ტალანტები ჩვენი რესპუბლიკა, და, ჩემი აზრით, სწორად მოიქცა ჟიური, რომელმაც ფესტივალის ყველა მონაწილის ლაურეატის წოდება მინიჭა. კარგი იქნება, თუ პოლიტიკური და სამხედრო-პატრიოტული სიმღერის მსგავსი დღესასწაულები ტრადიციად გახდება. (საქინფორმი).

მაზრები და ასპარეზობანი

მძლეოსნობა. დონეცკში დამთავრდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების იუნიორთა მძლეოსანთა მატჩი. საბოლოო გამარჯვება წილად ხვდა ამერიკელებს — 194:186. ამ ადინინშნა, რომ საბჭოთა ნაკრებიდან ჭაბუკებზე უკეთ ჭალიშვილებმა იასპარეზეს: მათ აკობეს მეტოქეებს — 75:71. ჩვენმა ჭაბუკებმა კი მატჩი დამთეს ანგარიშით 111:123. 8-9 ივლისს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების იუნიორები განმეორებით მატჩს გამართავენ.

ჩოგბურთი. ციმბლდონის ტურნირის მესამე წრეში 34 წლის პოლანდიელმა ტ. ოკერმა დაამარცხა არგენტინელი გ. ვილასი — 6:3, 6:4, 6:2. ტურნირის ფავორიტმა ბ. ბორგმა ძნელი გამარჯვება მოიპოვა დ. ფილოლთან (ჩილე) შეხვედრაში — 6:4, 6:2, 6:8, 6:4. ჯ. კონორსმა (აშშ) დაამარცხა თანამემამლე ტ. გორმანი — 6:4, 8:6, 8:9, 6:3.

ცურვა. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ანდრეა პოლაკმა (გდრ) ბერლინში 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი. მან მეორე დღესაც ისახელა თავი. ამჯერად პოლაკი 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა — 2 წუთი და 9,87 წამი.

ფუალბურთი. ქუთაისის „განთიადის" ბაზაზე გაიმართა საქართველოს თასის გათამაშება. ამ ტურნირში ყველას აჯობეს თბილისის „ბურევესტნიკის" წყალბურთელებმა და ცხადია, თასიც დასაკუთრეს. მეორე ადგილზე გავიდა ქუთაისის „განთიადი", მესამეზე — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი.

კალაგურთი

იუგოსლავები ემზადებიან

ევროპის ჩემპიონმა — იუგოსლავიის ქალაბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დაიწყო მზადება მოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც ოქტომბერში ფილიპინების დედაქალაქ მანილაში გაიმართება. ნაკრების მწვრთნელმა ა. ნიკოლიჩმა უკვე დაასახელა ნაკრების კანდიდატები. აი ისინი: ცენტრის მოთამაშენი — ჟ. ერკოვი (25 წლის, სიმაღლე — 208 სმ), კ. ჩოსიჩი (30,210), რ. ჟიეჟიჩი (23,210), რ. რადოვანოვიჩი (22,210), ა. ვნეგოო (22,205); განაპირა თავდამსხმელები — დ. დალაპაგიჩი (27,196), ჟ. ვარაიჩი (27,202), დ. ჯრსტულოვიჩი (25,201), ს. სუბოტიჩი (22,201); მცველები — დ. . ჯიჩანოვიჩი (24,191), მ. დელიბაშიჩი (24,197), ზ. სლავნიჩი (29,181), ბ. სკროზე (23, 193), პ. ვილფანი (20, 190); სათადარიგონი — დ. პავლიჩევიჩი (21,191), მ. ნაჯიჩ (23,203), ჟ. კოპრიჩიკა (22,207).

მწვრთნელს ახლა მხოლოდ ის აწუხებს, ითამაშებს თუ არა იუგოსლავიის ნაკრებში ჯრეშმირი ნოსიჩი. სამი ის არის, რომ გუნდის ვეტერანმა მოლაპარაკება დაიწყო ამერიკული პროფესიული კლუბის „ბოსტონ სელტიკსის" გუნდში გადასვლის თაობაზე.

ოლიმპიადა ლონდონში?

ცნობილი გახდა, რომ ლონდონის საქალაქო საბჭო ამირებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მომართოს თხოვნით 1988 წელს ლონდონში ოლიმპიადის გამართვის თაობაზე. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ფიქრობს გამოყოს თანხები ახალი ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისათვის. ამ ობიექტების აშენება ნავარაუდევია ლონდონის ცენტრიდან არცთუ დიდი დაშორებით და დაჯდება 90.000 დოლარი. ლონდონის საქალაქო საბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ხ. კატერმა განაცხადა, რომ ინგლისის დედაქალაქის 35 ათასი უმუშევარიდან დაახლოებით 15 ათასი შეიძლება დაასაქმონ ოლიმპიური ობიექტების მშენებლობაზე. ლონდონმა უკვე ორჯერ უმასპინძლია ოლიმპიურ ასპარეზობებს — 1908 და 1948 წლებში.

სსრ კავშირის თასზე

გუშინ მოსკოვში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა" და კიევის „დინამოს" შორის. შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 2:1.



ლოგიკური ამოცანა

საჭადრაკო ნაწარმოების (ამოცანის, ეტიუდის) ამოხსნა ლოგიკური აზროვნების საინტერესო მაგალითია. ამომხსნელს ხშირად უხდება სწორი გზის გაგნება იმ ლაბირინთებში, რომლებიც სპეციალურად არის აგებული ავტორის მიერ. ზოგიერთი ასეთი ლაბირინთი კომპოზიციაში მცდარ კმაკლს წარმოადგენს. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ მცდარ კვალად ის გაგრძელება ჩაითვლება, რომლის უარყოფა შავების ერთადერთი სვლით ხდება. თუ ამოხსნის ეს არანამდვილი ანუ მოჩვენებითი გზა ორგანულად არის დაკავშირებული ნაწარმოების იდეასთან და გარკვეულწილად ხაზს უსვამს მას, საქმე გვაქვს შემეატურ მცდარ კვალთან.

გერმანულ ნიადაგზე აღმოცენებულ ლოგიკურ ამოცანაში, რომელიც თავისი პრინციპებით, აღნაგობით და ტერმინოლოგიით არსებითად განსხვავდება სტრატეგიული და ჩეხური საამოცანო სკოლებისაგან, მცდარ კვალს მეტად დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ლოგიკური ამოცანის საწყის პოზიციაში არსებობს მიზნის მისაღწევი გზა, ე. წ. მთავარი გზბა, რომლის უშუალო განხორციელება უცებ შეუძლებელია რაიმე გარკვეული წინაღობების გამო. და სწორედ ამ მთავარი გეგმის ამოცნობა და მისი შესრულების შემაფერხებელი მომენტების დადგენა მცდარი კვალის ანუ სასინჯი თამაშის (ლოგიკური სკოლის ტერმინოლოგიით) საშუალებით ხდება.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მიიქცეს ამომხსნელი, რომელმაც სასინჯი თამაშის წყალობით სწორ გზას მიაგნო, მაგრამ ვერ იყენებს მას; ვუპასუხებთ: საჭიროა ამოხსნაში წინასწარ გატარდეს ე. წ. მოსამზადებელი გეგმა, რომელიც საბოს წინაღობებს. და ნათელი გახდება, რომ მთავარი გეგმის განხორციელება უკვე შეიძლება.

დიაგრამაზე აღბეჭდილი ოთხსვლიანი ამოცანა ლოგიკური სკოლის ნომაშია, დაადგინეთ მისი სასინჯი თამაში, მოსამზადებელი და მთავარი გეგმები და გვაცნობეთ, როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ნაწარმოებმა, გაგიჭირდათ თუ არა მისი ამოხსნა.

ტ. შონბერაგერი, 1934



შამათი 4 ხვლაში

ველით თქვენს პასუხს, ძვირფასო მეგობრებო!

ვ. ნეიძე.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ტელევიზია

6 ივლისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი და შენი ურალოში", 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.30—განცხადებები, 17.35 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ქიმია, 18.05 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედის უკუდმართობა!", 18.30 — „ადამიანი და გარემო", 19.00 — კონცერტი, 19.30 — „საერთაშორისო დღიური", 20.00 — „მეგობრების ხელოვნება" — თბილისის ხ. შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი 120 წლისაა, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „კინოლექტორიუმი".

მეორე პროგრამით

18.00 — დოკუმენტური ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა"..., 19.00 — განცხადებები, 19.05 — მხატვრული ფილმი „...და სხვა ოფიციალური პირები".

ორშაბათი

7 ივლისი

პირველი პროგრამით

06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები", 06.50 — „სოფლის დილა", 07.31 — „დილის კონცერტი", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ვ. აზარაშვილი. სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ი. ბუცკო. კანტატა „საქორწილო სიმღერები", 11.45 — „პიროვნება და კოლექტივი", 12.00 — საწარმოო ტანვარჯიში (მოსკოვიდან), 12.15 — ჯ. როსინი. ოპერა „სევილიელი დალაქის" ნაწყვეტები, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, რომლის პროგრამაა შეადგინა თბილისის ბორე მექანიკური ქარხნის მუშამ ა. ბარნიაშვილმა, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები" (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 14.00 — კონცერტი-საუბარი „არამ ხაჩატურიანი", 15.00 — „მეგობართა ხმები". გადაცემა სოციალისტ